№ 13 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

სახალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

კვირა, 15 ნოემბერი. 1909 წ. კვირა, 15 ნოემბერი.

ქ ა რ თ უ ლ ი   თ ე ა ტ რ ი

კვირას, 15 ნოემბერს, 1909 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველათ ახლი პიესა პ. ალექსიშვილის (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრ. საქართველოში.

პარტიის კაცი?!

სცენეში 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟ. თან.ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღ; კვ. გარდა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

ბურკო ვ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. ზ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბ. და ოთხშაბ. 9- 10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშაბ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 საათ.

სოგოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვასილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (50—12)

ვოგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა. ტელეფონი №695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—ჴ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (50—12)

გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში

მიიღება ხელის მოწერა

Baton-ის წიგნზე:

„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით“

დ: ახლოვებით 250—300 გვ. ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეკ ფასი მომატებული იქნება

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

ბიურო გაგალოვისა.

მთავრობის ნებართვით, დვორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ეზო 8) გახსნილია **ბიურო საწერავ მაშინისა.** ყველა ენაზედ. ფასები ძლიერ ხელმისაწდომია. საქმის სწრაფად შესრულებაზედ, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზე მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწერება ყველანაირი თხოვნები, საქმის ქაღალდები. პირობის წერილები, საპეკუნო ანგარიშები, კასაციისა და აპელიაციის საჩივრები, თხოვნები **უმაღლესს სახელობაზედ** მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირავნობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა.

ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე. ნაშუადღევის ჴ—7 საათამდე. (10—6)

მიიღება ხელის მოწერა **ახალ ყოველდღიურ რუსულ გაზეთ**

„ნოვაია რეჩ“ზე

ცალკე ნომერი—3 კაპ.

ხელის მოწერის ფასი 1 თვით 50 კ.

გაზეთი გამოდის 5 ნოემბრიდან.

ადრესი: Тифлисъ. Дворцовая, д. Груз. Дворянства. Ред. газ. „Новая Рѣчь“.

რედაქტ.-გამომც. პ. **ა. გოთუა.**

ტფილისი, 15 ნოემბერი.

ჩვენში თანდათან ფეხს იკიდებს შეგნება საერთოდ მოქმედებისა, ვაჭრობა მრეწველობაში თანხმობით საქმის წარმოებისა.

დასავლეთ საქართველოს ყოველ წლიურ დიდძალი აბრეშუმის პარკი მოჰყავს, შრომის ნაყოფით-კი სარგებლობენ არა მწარმოებელნი, არა ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ უცხოეთიდან მოსულნი სხვილი ვაჭრები, საზღვარ გარეთ გამტანნი ექსპორტერები.

ხონის რაიონში ამათ შეუკრავთ პირობა—ლოკაუტი, რომ ადგილობრივ წვრილ ვაჭრებისაგან არ ეყიდნათ გამხმარი პარკი, ამით ესენი შეევიწროებინათ და გაჭირვებაში ჩაცვივნულთათვის გაქცევა აეძულებინათ. მაგრამ საქმემ მოულოდნელი მიმართულება მიიღო. როგორც ამას წინად იწერებოდა ბატ. გ. ფასკუნჯი, ხონელ ვაჭრებმა შეერთებულის ძალით გასტეხეს ექსპორტერების თვითნებობა, მოახდინეს კრება და გადასწყვიტეს შეაგროვონ თავიანთი საქონელი ერთად და ჩინეთის ბანკის საშუალებით თითონ გაგზავნონ საზღვარ გარეთ. ამ საქმეში მათ დახმარებასა და ხელმძღვანელობას შეჰპირდა ბათუმის საურ-

თიერთო ბანკის დირექტორი ბ-ნი სვიმონდივანი.

ხონელ ვაჭრებს იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება გურია-სამეგრელო და ამგვარად თავის გაინთავისუფლებენ მსხვილ ვაჭრების კლანჭებისაგან.

ფრიად საინტერესოა, რითი გათავდა ალებ მიცემობის ასპარეზზე გამოტანილი ბრძოლა.

საგლეხო ბანკი

VI.

როცა მამულის მყიდველი და გამყიდველი საბოლოოდ შეთანხმდებიან ფასზე და დაამზადებენ საჭირო საბუთებს, მაშინ მყიდველი წარსდგება ბანკის წინაშე, მიართმევს თხოვნას და მოახსენებს,—მამულის სასყიდლად ამდენი თუმანი მჭირდება და გახოვთ მავალოთ ეს ფული $55^1/_2$ წლითაო.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, ვალის აღება შეიძლება მოკლე ვადითაც, მაგალითად, 13 წლით, ხოლო ნუ დავივიწყებთ, რომ წლიური გადასახადი დიდი იქნება და ეს სამძიმოა ღარიბ გლეხისათვის. ათ თუმნიან ვალს $55^1/_2$ წლით გადასახადი აქვს 4 მ. 50 კაპ., ხოლო ცამეტ წლიან 9 მ. 25 კ., ესე იგი ორჯელ მეტი. მუდამ სჯობიან ვალის აღება გძელის ვადით, რადგან თუ მოვისურვებთ, ან შეძლება ხელს შეგვიწყობს, ნაწილ-ნაწილად მოვისწყვეტავთ ვალს.

მიიღებს თუ არა ბანკის უფროსი თხოვნას და საჭირო საბუთებს, მაშინათვე გაჰგზავნის მამულის დასათვალიერებლად ერთ-ერთს დამფასებელს.

ბანკის დამფასებელი მამულს რომ დაათვალიერებს, დაბრუნდება ქალაქს და ყველაფერს ბანკის უფროსს აცნობებს. ბანკის გამგეობა განიხილავს მოტანილ ცნობებს და გადასწყვეტავს—მამული ამდენი თუმანი ღირს, ამდენი ვალი მივცეთო. ეს დადგენილობა პეტერბურგს გაიგზავნება, სადაც საბოლოოდ გადასწყვეტამენ, თუ მამულს როგორ აფასებენ და მყიდველს რამდენ სესხს აძლევენ.

როდესაც პეტერბურგიდან მოვა ცნობა, რომ საქმე ასე გადაწყდაო, ტფილისის განყოფილება შეატყობინებს მყიდველსა და გამყიდველს, თქვენი საქმე ასე გადასწყდა პეტერბურგს და თუ თანახმა ხართ, ერთის თვის განმავლობაში შედგინეთ ნოტარიუსთან ნასყიდობის ქაღალდი, რუსულად კუპჩას რომ ეძახიან. რაკი კუპჩა დაიწერება, საქმეც გათავებულად უნდა ჩაითვალოს. ამ დღიდან გლეხ-კაცი სრული ბატონ-პატრონი ხდება ნაყიდ მამულისა და შეუძლიან ისე მოიხმაროს, როგორც ეპრიანება და ჭკუა-გონება ჩააგონებს.

როდესაც საგლეხო ბანკის დახმარებით მამულს ყიდულობს გლეხი, კუპჩის ხარჯი ისე მცირეა, რომ სათქმელადაც არა ღირს. ავიღოთ ორი მაგალითი, ერთი როცა მამულს ვყიდულობთ ბანკის დახმარებით და მეორე ისეთი, როცა ბანკის დაუხმარებლად ვყიდულობთ.

ასთუმნიან მამულზე სახელმწიფო და სხვა ხარჯი კუპჩისა ხუთ თუმანზე ნაკლები არ არის, ხოლო ბანკის დახმარებით თუ ვიყიდეთ, მაშინ კუპჩის ხარჯი იქნება 6 მ. 85 კაპ., ან 7 მ. 20 კაპ., თუ კუპჩა დიდია და ორ თაბახზე იწერება.

განსხვავება ხარჯისა იქიდან წარმოსდგება, რომ სახელმწიფო არ იღებს თავის ხვედრ გადასახადს. ეს გადასახადი-კი ძალიან დიდია, ათ თუმანზე 4 მ., ასზე 40 მ., ათასზე 400 მ., ორი ათასზე 800 მ. მთავრობა იმ გზას დაადგა, ოღონდ გლეხმა მამული შეიძინოს საკუთრებად და ზარალს აღარ დაგიდევს.

მამაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენს ჩვენი უმამულო, ან მცირე მამულიანი გლეხი, თუ მალე არ ისარგებლებს ამ კარგის პირობებით და ხელიდან გაუშვებს თავის მარჩენალ მამულს.

ნუ დავივიწყებთ ბრძნულ ანდაზას: ვიდრე პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო, ვიდრე იმ ბედნიერ დღეს მოვესწრებით, რომ მამული კამფეტებივით დაგვირიგონ უფასოდ და უსასყიდლოდ, თავისუფალ მამულს, გასაყიდად გამზადებულს, უცხონი დაიტაცებენ და მერმე ვაი და ვუი ვეღარას გვიშველის.

უნდა უსათუოდ ისიც გახსოვდეს, რომ საგლეხო ბანკის დახმარებით მამულის შეძენა მარტო გლეხს შეუძლიან და იმ მოქალაქეს, რომელსაც რუსები მეშჩანინს ეძახიან, უკეთუ ასეთი მოქალაქე მეურნეობას მისდევს სოფლად.

აი ესაა მოკლედ და სიტყვა მოჭრილად საგლეხო ბანკის ვითარება.

შემდეგ წერილებში გიამბობთ, თუ სად, როგორ და რამდენი მამული შეიძინა ქართველმა გლეხმა საგლეხო ბანკის და საადგილ მამულო კამისიის დახმარებით.

ალექსანდრე ყიფშიძე.

საჩივარი.

ქალავ, ეგ შენი თვალები,
ნეტავ რამ გააგულადა,
ხელთ შვილდ ისარი უპყრიან,
ერთად დადიან თულადა.

—

გულს ქორებულად დაჰქროლავს
დაიფოროქეს სრულადა,
წაართვეს ბეჩავს მშვიდობა,
გადაეკიდნენ მტრულადა.

—

ამ დღიდგან ყველა გამწარდა,
სიცოცხლზე გახდა კრულადა,
სიკვდილიც აღარ მეწვია,
ბეჩა, ჩამოვდნი სრულადა!

ალ. ყაზიბეგი.

ვინა ხარ?

ვინ ხარ, ულმერთოვ! რომელმაც
ხელთ იგდო ჩემი ნებაო?
ბეჩავს მშვიდობა წაართვი,
განცხრომა—მოსვენებაო?!...

—

თვალთ მდუღარენი არგუნე,
გულს სანთლად ჩამოდნობაო;
სულს ყმაწვილობა გასტაცე,
მოუსპე შეარდნობაო?!

—

გული, გლახ-გული, რას გლის,
შენის ლოდინით ბნდებაო;
ცას და ქვეყანას შებღავის,
საშველი არსიდ სჩნდებაო!

—

ნუ თუ ჩემს ცრემლის ნადენზედ
ვარდი არ აჰყვავდებაო?
და შმაგულს მწარე ცხოვრებას
ერთხელ არ დაჰყვავდებაო!?...

ალ. ყაზიბეგი.

წუთის სოფელო.

წუთის სოფელო, მიაყრი
ზოგს სარჩოს, ქონებასაო,

„მე მოვკალი ეგ საზიზღარი!“

— ივანე!—ეუბნებოდა შვილს თავადი ვასილ N-ძე,—დაეხსენი მთელი ხალხის წინააღმდეგ სვლას, თორემ, რაც სხვა ჯაშუშებს მოუვიდათ, შენც ის მოგელის—მოგკვლენ. დღეს ბოიკოტი გამოგიცხადეს, მაგრამ, თუ არ გასწორდები, უარესი მოგივა.

— რას მიზმენ, მომკლავენ არა? არა, ჩემო მამა, ვერც მომკვლენ და ვერც ხმას გამცემენ... ბოიკოტი გამომიცხადეს!.. დღეს ნიკოლას—ჩემს ბიძაშვილს—სალამი მივეცი, მან ჩემსკენაც არ მოიხედა, თუ გინდა რაღაც ბუზს გაეფრინოს მის წინ!.. არა, არვის შევაწევ ამ დამცირებას. ეს ჰქნა კ—ძემ. ასის თავად დააყენეს, და მას გონია, ყველას ბატონი ვარო; უნდა ბოიკოტს გამოუცხადებს კაცს, უნდა არა... მე ვუჩვენებ მას, თუ როგორ უნდა კეთილშობილი კაცის დამცირება. ცოცხალი ნუღა ვყოფილვარ, თუ მათეს სახლ-კარობა ამ ორ-სამ დღეში ვერ გავანადგურო. ბევრი წვალება მჭირდება თუ? არა. ერთს მოვახსენებ ბოქაულს, რაშიაც არის საქმე, ის კაზაკებს წაიყვანს და მორჩა!

— გირჩევ, დაეხსენ ჯაშუშობას, თვარა გამოგასალმებენ წუთისოფელს.

— თუ გამომასალმებენ, ვნახავ.

ივანე იყო 30—35 წლისა; ის იყო ულმობელი. მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი იყო, არავის არ აძლევდა შემწეობას. ივანე იყო ფუფუნებაში აღზრდილი. მის გულში პატარაობიდანვე არავის ჩაენერგა სიყვარული მოყვასისადმი, სამშობლოსადმი და ივანეს დღეს მიზნად ჰქონდა დასახული ზრუნვა მარტო თავის თავზედ. მაგიერად ივანეს „ძველი ადათ-წესები“ შესისხლხორცებია, და 1904—5 წ. მოძრაობის დროს უარ-ჰყო ხალხის ლტოლვილება, შეიძულა იგინი, ვინც წინ აღუდგენ, ძველ ადათ-წესებს, და მუდამ მაზედ ფიქრობდა, რომ როგორმე ფრთები შეეკვეცნა ხალხის ოცნებისათვის. ივანე დასცინოდა ხალხს, რომელიც, მისი აზრით, თვალ ახვეული ებრძოდა მას, რის წინააღმდეგაც წასვლა არ შეეძლო. ხალხი ზიზღით შეჰყურებდა ივანეს, როგორც მოღალატეს, ბოლოს წინადადება მისცეს, რომ გასწორებულიყო. მაგრამ ამაოდ,—ივანემ არ მიიღო ეს წინადადება. ბოლოს ივანეს ბოიკოტი გამოუცხადეს.

საშინლად ააღელვა ამ გვარმა შეურაცყოფამ ივანე. გაბრაზებულმა გადასწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა ასისთავისთვის, ვისი რჩევითაც, ივანეს აზრით, მას ბოიკოტი გამოუცხადეს.

ერთ ღამეს ივანემ, მიუხედავად იმისა, რომ მამა დარიგებას აძლევდა, ასისთავი დაასმინა ბოქაულთან, რომელიც ამ დროს მ—ში კაზაკებით იმყოფებოდა.

ხუთშაბათ დილა იყო. მ—დან ბოქაული კაზაკებით მიეშურებოდა მათესკენ.

რამდენიმე საათის განმავლობაში მათეს სახლს შემოერტყა გარს დაუპატიჟებელი სტუმრები.

— ჩქარა მათე მოგვიყვანე!—უყვიროდა ბოქაული მოხუცს კაცს—მათეს მამას,—რომელიც შიშით კანკალებდა,—ჩქარა მოგვიყვანე გესმის?

— რათ გინ-დათ მა-თე?—ძლივს დაძრა ენა,—არ გახლავს შინ, შენი ჭირიმე.

— გვითხარი სად არის, თვარა ამ საათში სახლს ცეცხლს წაუკიდებთ, და მათესაც ვნახავთ.

— არ ვიცი, შენი ჭირიმე და რა ვქნა.

— როგორ? შენ არ იცი? გირჩევ, გვითხარი, თუ ოჯახის გაუბედურება არ გინდა.

— არ ვიცი, სად არის და...

— შენ იცი... შენ ნუ შეგეშინდება,—დალბა ცოტათი ბოქაული,—შვილს არ ვინ მოგიკლავს. მხოლოდ ჩვენ ვალდებული ვართ, ვნახოთ და ცოტა რამ დარიგება მივცეთ... გვითხარი, სად არის?

— არ ვიცი, სად წავიდა, შენი ჭირიმე!..

— ვადა რომ მოგცე, მოიყვან? შეგიძლია, რომ მოგვიყვანო?

ყოველ წადილსა უსრულებ,
ნდომას, თუ ოცნებასაო;

—

ზოგსაც გაჩენით სიკვდილმდე
არგუნებ ლონებასაო,
მუდამ სატირლად გაუხდი
ჭკუას თუ გონებასაო!

—

ზოგჯერაც მართალს სულს ხუთავ,
გზას აძლევ შარიანსაო,
მშრომელსა მუშას გასწირავ,
ხელს უსვამ ქონიანსაო!

ალ. ყაზბეგი.

თეატრი და ხელოვნება

გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.

ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოებას დაუდგენია მონაწილეობა მიიღოს გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში. ამ საქმისთვის საზოგადოების კომიტეტს აურჩევია კომისია.

ქ. გ ო რ ი

(ნოქარ შეგირდთა ცხოვრებიდგან).

(დასასრული *)

დიდ გაქივრებაში არიან მეტადრე მეჩექმეთა შეგირდები, რომელნიც დილა ადრიან მოყოლებული ღამის 10—11 საათამდის თავჩაღუნული მუშაობენ, გაბედე და სთქვი რამე-პოლიცია კარს მოგადგება უმალ და ცივ ქვეყნებისკენ გამზადებული გალია შენთვის მზათ არის. მაგრამ როდემდის უნდა იყვნენ იგინი ასეთ მდგომარეობაში? ვგონებ დროა აქაურმა შეგირდ-ნოქრობამ გამოიღვიძოს, გამოიფხიზლოს, მიიხედ მოიხედოს და დაინახოს რა ხდება ირგვლივ. ყველგან იაფ-ფასიანი წარმოდგენები, სამკითხველოები, სხვა და სხვა სასარგებლო დროს გასატარებელი სახლები. ჩვენ კი არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ჩვენი სამკითხველო ბნელი ოთახებია, ჩვენი თეატრი საბილიარდოებია, ჩვენი დროს გასატარებელი სახლები-სამიკიტნო-ლოდხანებია. ვიცი, მეტყვით ჩვენ ხელმძღვანელნი გვჭირიანო. თქვენ ხელი ხელს მიეცით, გამოიჩინეთ მეტი ხალისი გონებას გამოფხიზლებისა და მერწმუნეთ, მალე გაგიჩნდებიან ცრუ ინტელიგენტთა მაგიერ ნამდვილი ხელმძღვანელნი, რომელნიც არავითარ შრომას, არავითარ დაბრკოლებას არ დაერიდებიან, ოღონდ თქვენ მიეცით მათ მხარი. დღეს ჩვენი ერთად ერთი სახალხო დაწესებულება ა. კალანდაძის სამკითხველოა.

ამ სამკითხველოში შესვლა ღირს 3 კაპ. თვეში 30 კაპ. სამკითხველოსთან არსდება ბიბლიოთეკაც, საიდგანაც წიგნებით სარგებლობა ეღირება თვეში 40 კაპ. სამიკიტნოებში დამპალ ჰაერის ყლაპვის და მანეთობით ფლანგვის მაგიერ გამოიმეტეთ 3 კაპეიკი, ხორცსაც აამეთ და სულსაც, მიეცით მხარი ამ სამკითხველო წიგნთსაცავს, მიეცით შეძლება მას თავისუფლათ გაშალოს ფრთები და მერწმუნეთ არ წააგებთ. თქვენი ოფლით ნაშოვნი გროშიც ჯიბეში დაგრჩებათ და თქვენს გონებასაც კარგს სამსახურს გაუწევთ.

ს. გრძელიშვილი.

*) იხილე „სახალხო გაზეთი“ № 12.

„სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან.

ჩვენი ქვეყნის აწინდელის მდგომარეობისა და მომავლის გამოსარკვევად საჭიროა უმთავრესად მისი ეკონომიურის მხრივ შესწავლა, ქონება-სიმდიდრის გათვალისწინება. ამ აზრით უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ჩვენს კორესპონდენტებს და ყველა იმას, ვისაც სამშობლოს სვე-ბედი აინტერესებს, დახმარება აღმოგვიჩინონ და ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე ცნობები მოგვაწოდონ. ნურვინ დაერიდება ნურც წვრილის სიმცირეს, ნურც მართლწერას, ოღონდ-კი ცნობების ფაქტიური მხარე იყვეს ნამდვილი, უტყუარი. სხვებთან ერთად შეკრებილ ცნობებს თავს მოუყრით, შევიმუშავებთ და თავის დროზე გხმოვაქვეყნებთ.

1. სოფლის სახელი და მისი მდებარეობა.

2. მცხოვრებთა რიცხვი ეროვნებისა, წოდებისა და სქესის მიხედვით. დაბადებულთა და მიცვალებულთა რიცხვი წლისგანმავლობაში მეტრიკულ წიგნიდან.

3. რამდენი მამული აქვს თვითეულ კომლს საკუთარი, იჯარით ან სადალეთ აღებული და რა პირობებით· რამდენი, რა-და-რა საქონელი ჰყავს. მეურნეობის რომელი დარგი შეადგენს მცხოვრებთა უმთავრესს სალსარს.

4. გარდა სასოფლო მეურნეობისა, რა ხელობას ან შინა მრეწველობას მისდევენ სოფლელნი.

5. თვითეულ კომლის საერთო შემოსავალის რაოდენობა, ნაწარმოებით ან ფულად ნაანგარიშევი.

6. თვითეულ კომლის საერთო გასავალის რაოდენობა: ღალა, იჯარა, სახემწიფო და სასოფლო გადასახადი, ბეგარა, ეკლესიისა და სკოლის ხარჯი და სხ.

7. რას, რამდენს ჰყიდიან და ყიდულობენ მცხოვრებნი.

8. არის თუ არა სკოლა, ბიბლიოთეკა, საღამოს კურსები და ვინ განაგებს. რამდენად გავრცელებულია წერა-კითხვა, წიგნები, გაზეთები.

9. არსებობს თუ არა სამეურნეო, სავაჭრო ან წვრილი სესხის ამხანაგობა.

10. კორესპონდენტის საკუთარი დაკვირვებანი და საზოგადო მოსაზრებანი სოფლის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დუმა

[სააგენტოს დეპეშებიდან)

მეთექვსმეტე სხდომაზე ორატორები უმთავრესათ შეეხენ სავოლოსტო სასამართლოებს. ზოგი მომხრეა შენახულ იქნეს დღევანდელი სავოლოსტო სასამართლო. პეტროვი მესამე ტრუდოვიკების სახელით თხოულობს ისეთ რეფორმას, რომ მოსამართლეებს თვით ხალხი ირჩევდეს, განურჩევლათ სქესისა, აგრეთვე მოსამართლეებათ ორივე სქესის პირი იქნას არჩეული.

დეპეშების შინაარსი.

გაზეთებიდან.

თეირანი. 10 ნოემბერს, როდესაც შირაქიდან ბუშირში მიდიოდა რუსეთის ბუშირელ მთავარ კონსულის პასეკის ქარავანი, სოფლებს ხონეზენიანისა და დეტნაჯინის შუა თავს დაეცნენ ბაირახვერედების თემის ავაზაკები. პასეკი საზაფხულოდ შირაზში იმყოფებოდა და ბუშირში ბრუნდებოდა. პასეკის ქარავანთან ერთად მიდიოდა სპარსელთა ვქვსი სავაჭრო ქარავანი. კონსულს თან ახლდა შვიდი რუსი და ხუთი სპარსელი ყაზახი და სამი სპარსელი ჯარის-კაცი, რუსის ჯარის თოფებით შეიარაღებული. თითონ კონსული და საკონსულოს მდივანი კადლუბოვსკი შეიარაღებულნი იყვნენ რევოლვერებით. სროლამ ნახევარ საათამდე გასტანა. მოპირდაპირეთა ძა-

---

— მე... არ შემიძლია.

— მაშ, არ გინდა, რომ მოგვიყვანო?

მოხუცი უძრავად იდგა და პასუხის მიცემას ვერ ახერხებდა.

— ჩქარა გვითხარი, მოგვიყვან თუ არა?

— არ შემიძლია მოყვანა...

— არ შემიძლია!—გაიმეორა ბოქაულმა კბილების ღრჭენით,—რაც დაგემართოს, შენ თავს დააბრალე. შემდეგ რაღაც რუსულად უთხრა კაზაკებს, და ორი კაზაკი წავიდა ზვინებისკენ ჩალის მოსატანათ. მოხუცი მიხვდა, რომ მისს სახლა დაწვას უპირებდენ. თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ბოქაულს შემიბრალეო, მაგრამ ბოქაულს მისი ხვეწნა არ ესმოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მათეს სახლი ალში იყო გახვეული.

საშინელი თავზარი დასცა კაზაკების მისვლამ მათეს მეზობლებს. კაზაკები მარტო მათეს არ დაჯერდნენ და დაიწყეს თარეშობა მეზობლებში. თავზარდაცემული ქალები მოცილდნენ სახლებს და გადიმალნენ. ბევრმა კაცმაც იკადრა გაქცევა. დარჩა სახლები ღვთის-ანაბარად. კაზაკებმა დაიწყეს ჩხრეკა სახლების, თუმცა დიასახლისები არ დახვდათ შინ და ვერ გაუმასპინძლდნენ რიგიანად—ვერ დაუკმაყოფილეს კაზაკებს მხეცური სურვილი,—მაგრამ მაინც ბეჯითად ეძებდნენ ძვირფასს ნივთებს წასაღებად.

სამხრობა იქნებოდა, როცა კაზაკები, დატვირთულნი ნაძარცვი ნივთებით, ზანტად მიდიოდნენ დ. მ—სკენ.

— ივანე N—ძემ დაღუპა მათე.—გავრცელდა ხმა, და ყველა წყევა-კრულვით იხსენიებდა საზიზღარ ჯაშუშს.

—

კვირა იყო. სოფელ ბ—ის ეკლესიაზედ გაისმა ჩვეულებრივად ზარის ხმა, და სადღესასწაულოთ მორთული ქალი და კაცი მიეშურებოდა წირვაზე.

ივანე N—ძემაც მოინდომა წირვაზე წასვლა.

— შენი ჭირიმე!—ეხვეწებოდა ცოლი,—ნუ წახვალ. ხომ ხედავ, ყველა შენ გმტრობს და არ იცი, როდის რა შეგემთხვევა. შენი ჭირიმე, ნუ წახვალ, ჩემო ივანე?

— რა იქნება, რომ წავიდე? მომკვლენ არა?.. ხა, ხა, ხა, ხა!.. ხმასაც ვერ გამცემენ უბატონოთ... და, თუ ჭკვით არ იქნებიან, მათაც... აღარ დაათავა სიტყვა ივანემ.

მშობლები და ცოლი ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ ვერ დააშლევინეს.

ბოლოს მართა და ოლღა (პირველი—ცოლი, მეორე—და) გაჰყვნენ ივანეს.

რამოდენიმე საათის შემდეგ ივანე ცოლით და დით წირვას ისმენდა ეკკლესიაში.

გამოვიდა წირვა და ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად იწყო შეგროვება ეკკლესიის გალავანში. ყველა კრულვით იხსენებდა ივანეს და კაზაკებს, რომელთაც ამ რამოდენიმე დღის წინედ მათე დაღუპეს.

ამ დროს ხალხის ყურადღება მიიპყრო 15—16 წლის ყმაწვილმა, რომელიც მხარზედ თოფ-გადადებული და თავ-ჩაღუნული უახლოვდებოდა ეკკლესიას. ყმაწვილი ხალხში გაერია. ივანე-კი ისევ იმ ძველ ადგილზედ იდგა.

— წავიდეთ, ივანე!—ეხვეწებოდა მართა.

— ახლავე, წავიდეთ...

უცბად დაიჭექა თოფმა, და ივანე გულ-გაგმირული და ეცა მიწაზედ.

— ივანე! შენი ჭირიმე!..

— ჩემო ძამია, ვინ წამართვა შენი თავი ვინ მოგკლა?!. დაიკივლეს მართამ და ოლღამ და ქვითინით ჩაეხვიენ გულ-გაგმირულს, რომელიც საცოდავად იკლაკნებოდა.

— ივანე N—ძე მოკლეს.

— ვინ მოკლა?—გაისმა ხალხში ხმა.

— მე მოვკალი ეგ საზიზღარი!—გაისმა თოფიანის ხმა; თოფიანი ყმაწვილი ამ დროს ხალხს გაშორებოდა და საშინელი სახით მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც მკვდარი ივანე ეგდო.

რამოდენიმე წუთის განმავალობაში თოფიანი უკვე მიიმალა.

გ. გაფრინდაშვილი.

ლა თანაბარი არ იყო და კონსული იძულებული გახდა მიეტოვებინა ქარავანი, სროლით მდინარის ნაპირ-ნაპირ ევლო და ისევ სოფელ ხონეზენიანში დაბრუნებულიყო. სროლის დროს მოჰკლეს რუსის ყაზახი სლესარენკო, დასჭრეს ხელში მეორე ყაზახი. მძიმედ დასჭრეს ორი სპარსელი ყაზახი, ხოლო მსუბუქად —ორი სპარსელი ჯარის კაცი. კონსულის ქარავნიდან მოჰკლეს ოთხი ცხენი, სხვა ქარავნებიდან მოჰკლეს ათი სპარსელი, მათ შორის სოფელ ზონეზენიანის მამასახლისი, რომელიც წინ მიუძღოდა ქარვანს მილიციონერებით, რომელთა ნაწილიც აგრეთვე ამოხოცეს. კონსული პასეკი და კადლუბოვსკი უენებლად გადარჩნენ, ქარავანი-კი გასცარცვეს, ნივთები გაიტაცეს. დიდის გაჭირვებით გადაარჩინეს საკონსულოს არქივი და ფულის ყუთი. კონსული ამოწმებს ყაზახების დიდს გულადობას. მოკლულის სლესარენკოს გვამს დაჭრძალავენ შირაზში, სომხის სასაფლაოზე. კონსულმა მიმართა სპარსეთის მთავრობას და მოსთხოვა, დაუყონებლივ იქნეს მიღებული ზომები დამნაშავეთა დასასჯელად, ხოლო ზარალი თვით მთავრობამ აუნაზღაუროს.

მოსკოვი. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ხუთასი კვადრატ. საჟენი მიწა დაუთმოს შანიავსკის სახელობაზე სახალხო უნივერსიტეტის ასაგებათ.

ვოლოგდა. უსტიუგის საერობო კრებამ დაადგინა შეუდგეს საყოველთაო განათლების შემოღებას მაზრაში.

ახალი ამბები

✦ თბილისის თავად-აზნაურობის მინდობილობით, ინჟინერმა ანდრონიკოვმა უკვე დაითანხმა ადგილების გაყიდვაზე ის მეპატრონენი, რომლის ადგილებში **კახეთის რკინის** გზა გაივლის.

✦ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ დაადგინა, გახსნას სკოლები თიანეთის მაზრის სოფლებში, ბარისოხაში და მაღაროსკარში.

✦ სამოსწავლო ოლქის უმაღლესს მთავრობამ თხოვნით მიმართა თფილისის სააბრეშუმო სადგურის გამგეს, შეატყობინოს, თუ რამდენი ელირება სახალხო სკოლებში მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის განყოფილების დაარსებაო.

✦ სასულიერო სამოსწავლო საბჭოს დაუდგენია გახსნას ს. პატარძეულში სამრევლოსკოლა.

✦ კავკასიის სამოსწავლო მთავრობამ სთხოვა ტფ. სააბრეშუმო სადგურის გამგეს, მოაწოდოს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დაჯდება სახალხო სკოლებში მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებების მოწყობა.

✦ კავკ. ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას გადაუწყვეტია, გახსნას კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში თავისი განყოფილებები.

✦ 11 ნოემბერს თავ. ბ. ა. გრუზინსკის თავჯდომარეობით მოხდა სხდომა მეურნეობათა კრების საორგანიზაციო ბიუროსი. ბიურომ დაადგინა, მეურნეთა კრების გახსნის დღეს, ხვალ 15 ნოემბერს, აირჩიონ თავმჯდომარის ამხანაგი და ორი მდივანი. ბიური თითონ დაასახელებს თავმჯდომარის ამხანაგის და მდივნების კანდიდატებს. საორგანიზაციო და მოულოდნელ საკითხების გადასაწყვეტად, ბიურომ დაადგინა, კრების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, მოახდინოს კრება სექციათა თავმჯდომარეებისა და კრების თავმჯდომარისა. ოქმების შესადგენად თითონ სექციებმა უნდა მიიწვიონ მცოდნე პირები. ოქმის შემდგენელს დღეში მიეცემა 3—5 მანეთამდე. პრჯსის წარმომადგენელთა და საპატიო სტუმართა გარდა კრებას დაესწრებიან კრების ის წევრები, რომელთაც ბილეთები ექნებათ.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სთხოვა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, დაუსახელოს ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლიან თვალყური ადევნოს სახალხო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა მდგომარეობას. ისეთ კაცს წლიურად 2000 მანეთი დაენიშნება.

✦ ხუთშაბათის კრებაზე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შემდეგი საქმეები განიხილა: 1. ადმინისტრატიულ სექციის მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა წიგნების მაღაზიის პატრონების და წიგნების გამომცემლების განცხადებას, რომ მოწვეულ იქნას წიგნების ვაჭართა და გამომცემელთა კრება. გამგეობამ თანახმად სექციისა, სასურველად სცნო ასეთი კრების გამართვა და დაადგინა: მიიღოს კრებაში მონაწილეობა თავის წარმომადგენელით, აიღოს ნებართვა, მოიწვიოს ინიციატორთა კრება წინასწრად ბიუროს შესადგენად, ხოლო ორგანიზაცია კრებისა, მოწვევა მისი და ხელმძღვანელობა დააკისროს ბიუროს. თავის წარმომადგენლად წერა-კითხვის საზოგადოებამ დანიშნა წიგნების ვაჭრობის გამგე. 2. მდივნის მოხსენება იმის შესახებ, რომ გამგეობამ გამოსცეს პერიოდული ორგანო. გამგეობამ ფრიად საჭიროდ სცნო ასეთ ორგანოს გამოცემა და დაადგინა, შეტანილ იქმნას ხარჯი მომავალ აღრიცხვაში, ამის დამტკიცება ეთხოვოს საზოგადო კრებას და ორგანოს პასუხის მგებელ რედაქტორად დანიშნოს მდივანი. 3. ნათლუხელების თხოვნა სკოლის გახსნის შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნა გამგეობამ დაადგინა აღძრას შესაფერი შუამდგომლობა დირექტორის წინაშე, აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა ქვემო სურებში ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. გაბუნიაცაგარლის იუბილეიში მონაწილეობის მისაღებად თავის წარმომადგენლად აირჩია ალ. ყიფშიძე.

✦ ტფილისის მე-3-მე, გიმნაზიის მოწაფეებმა დირექტორის გოროდენსკის გარდაცვალების გამო შეგროვილი 28 მ. 6 კ., გვირგვინის სყიდვის მაგივრად თავიანთ შეუძლებელ ამხანაგთა სასარგებლოთ გადასცეს.

✦ ბაქოელ სომეხთა კულტურული კავშირი ერევანში ხსნის 16-31 დეკემბრის განმალობაში კურსებს სოფლის ბანკებისათვის ბუხგალტერებს მოსამზადებლად.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, შემწეობა აღმოუჩინოს ერთ ღარიბ მოსწავლეს სათავად. აზნაურო ბიმნაზიის მეხუთე კლასისას—ალ—ვს, რომელსაც არავითარი საშუალება არა აქვს, რომ თავი ირჩინოს. მეხუთემდე მიახწია ტანჯვა-წვალებით. ხან მოწაფე ჰყავდა, რომელიც ოთხს ან სამს მანეთს აძლევდა, და მით იკვებავდა თავს. სახლიდან არაფერი შემწეობა არა აქვს, რადგან სახლში უფრო დიდ გაჭირვებას განიცდიან. ახლა მოწაფეც არა ჰყავს. ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია, მეხუთე კლასის მოწაფეს ალ. ალ—ვს“.

მშრომელთა ბირჟა

გუშინ სამუშაოს საშოვნელად

	გამოვიდნენ:		იშოვნეს.
მუშა	186	—	52
დურგალი	11	—	7
კალატოზი	16	—	8
მომკირწყლავი	18	—	6
მეჟესტე	26	—	14
მხატვარი	12	—	7
მებუხრე	11	—	4
იატაკის გამწმენდი	8	—	—

რედაქტორ-გამომცემელი

დარია ხრამელაშვილისა.

განცხადებანი

განცხადება

ვეძებთ ამხანაგებს კაპიტალით

ღვინის საქმეზე.

პირობები შეიძლება გაიგოს „Московскіе Номера“, № 20, დილის 9—10 საათამდე.

„მოვავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდ კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისის გარეთ 1 მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Канст. Цуладзе.**

ალმეზა.

ალმეზა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვევნასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებს შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საეურადღებოთ ციებ-ცხელებით აკათმეოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებსა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი. აანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის ტ. ძეგლის. მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Контора и складъ „Т“. Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе

(50—9)